ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 30-294

ქ. თბილისი 19 ივლისი 2017 წელი.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,თბილსერვის ჯგუფი" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ჯღარკავას სახით, მის. თბილისი კახეთის გზატკეცილი №67 და მეორეს მხრივ, შპს „დგარი" მისი დირექტორის ნოდარ რეხვიაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მის. ქ. თბილისი, ჯორჯ ბუშის (მელაანის) 3 შეს. N12

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში (ტენდერი № NAT170006558) გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებამ, რომლის თანახმად, შპს „დგარი"-მ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შპს ,,თბილსერვის ჯგუფს" საოფისე, საშხაპე და ტანსაცმლის გამოსაცვლელი კონტეინერები (CPV კოდები: 44600000; 44613000);

2.2 მისაწოდებელი საქონლის სრული დასახელება, ძირითადი მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ფასი მითითებულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2 შესასყიდი საქონლის ღირებულება (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი") შეადგენს 38940 (ოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კონტეინერების აწყობა, მოწყობა და მონტაჟის ღირებულებას 5.2 პუნქტში მითითებულ მისამართებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები (კონტეინერების აწყობა, მოწყობა და მონტაჟი) საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ წინასწარ წერილობით განსაზღვრულ ვადაში.

5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. შესასყიდი ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით;

5.2. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორია - საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონი და გლდანი - სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონი.
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.
6.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონისა და სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის განყოფილების უფროსები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით.
6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1. შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის შემთხვევისა
7.2 თუ „მიმწოდებელს" ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო დაეკისრება პირგასამტეხლო, ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსყიდველისათვის" პირგასამტეხლოს თანხის ჩარიცხვიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში
7.3. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება;
8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % ოდენობით.

9.2 გამოვლენილი დეფექტის არმოფხვრასთან დაკავშირებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის შორის შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქცია.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული

საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

10.4 საქონლის მიღებაზე ინსპექტირებას განახორციელებენ შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს ინსპექტირების ჯგუფი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება(5 დღით ადრე) და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.4.3 მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების დადგენილი მიწოდების ვადების დარღვევისას;

11.4.4 მხარეთა შეთანხმებით.

11.4.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით" გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ფორსმაჟორი.

14.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.

17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად.

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

17.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

17. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თბილსერვის ჯგუფი“	შპს „დგარი”
დირექტორი	დირექტორი
ლ. ჯღარკავა	ნ. რეხვიაშვილი

საბანკო რეკვიზიტები:

შპს „თბილსერვის ჯგუფი“	**შპს „დგარი”**
მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N67	მის: ქ. თბილისი, ჯორჯ ბუშის 3 შეს. N12
ს/ნ 206267494	ტელ: 597 72 75 78
სს „ლიბერთი ბანკი“	ს/ნ 406145817
ცენტრალური ფილიალი	სს „თი ბი სი ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: TBCBGE22
ანგ. N: GE90LB0113172770216000	ანგ. N: GE38TB7224836080100004

დანართი N1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2017 წლის 19 ივლისს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო N 30-294) ერთად.

საქონლის დასახელება	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები	რაოდ	ერთ. ფასი	საერთ. ღირ-ბა	მიწოდების ადგილი
ტანსაცმლის გამოსაცვლელი კონტეინერი	კონტეინერი ზომით 10.0 მ X 2.5 მ X 2.6 მ კონსტრუქცია: კვადრატული მილი 80×80×2.5, 80×60×2.5, 60×40×2.0 დაფარული ანტიკოროზიული საღებავით; 2. იატაკი: 18მმ, ნესტგამძლე ფანერა + ლინოლეუმი + პლინტუსი; 3. კედელი: სენდვიჩ პანელი - პოლიურეთანის ქაფით, 50 მმ, თეთრი ფერის; 4. სახურავი: სენდვიჩ პანელი პოლიურეთანის ქაფით, 50მმ, ცალმხრივად დახრილი, თეთრი ფერის; 5. შიგა კედელი: სენდვიჩ პანელი - თეთრი ფერის; 6. გარეთა კარი: მეტალის, შიგა გაღებით, ზომით 220 × 95სმ – 1 ცალი; 7. ფანჯარა: მეტალო პლასტმასის ზომით 200 × 50სმ – 2 ც გასაღები (გადმოკიდება), თავისი მწერებისგან დამცავი ბადეებით; 8. ელექტროობა: ავტომატების ყუთი N4, ავტ. დამცველი 40 ამპ – 2 ც, 10 ამპ – 1ც, 6 ამპ – 1ც. კონდენციონერი (30 მ2 ის გაგრილებით და გათბობით). სანათი – 2 ც. როზეტი (შტეფსელი) – 5ც. ჩამრთველი – 2ც. კაბელი 2/2.5 მმ2 ორმაგი იზოლაციით, ჩადებული პლასტმასის საკაბელო არხში, გარეთა მონტაჟით; 9. ავეჯი: კარადა ზომით: სიგანე - 35სმ, სიღრმე - 40სმ , სიმაღლე - 100სმ (სულ 70 ცალი), კარადები იქნება ერთმანეთზე დამონტაჟებული 2 მწკრივად - თითოეულში 35 ც, კარადების კარი იქნება აღჭურვილი საბოქლომეებით, სახელურებით; თითოელი კარადაში იქნება 1 ცალი თარო 30 სმ -იანი და 2 საკიდი (2 კაუჭიანი). გასახდელის სკამი „სკამეიკა“ - 2 ცალი;	1	16520	16520	ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე - საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონი;
საშხაპე კონტეინერი	სანიტარული კონტეინერი ზომით 6.0მ X 2.5მ X 2.6მ კონსტრუქცია: კვადრატული მილი 80/80/2.5, 80/60/2.5, 60/40/2.0 დაფარული ანტიკოროზიული საღებავით;2. იატაკი: 18მმ, ნესტგამძლე ფანერა + მეტლახი + პლინტუსი;3. გარეთა კედელი: სენდვიჩ პანელი პოლიურეთანის ქაფით 50 მმ - ფერი თეთრი;4. სახურავი: სენდვიჩ პანელი პოლიურეთანის ქაფით 50 მმ, ცალმხრივად დახრილი, ფერითეთრი;5. შიგა კედელი: სენდვიჩ პანელი;6. გარეთა კარი: მეტალის, შიგა გაღებით, ზომით 220სმ/80სმ – 2 (ორი) ცალი;7. შიგა კარი: მეტალო - პლასტმასის - 5 ცალი;8. ფანჯარა: მეტალო პლასტმასის ზომით 150სმ/50სმ – 2 ცალი გასაღები +გადმოკიდება, 50სმ/50სმ – 3ცალი გასაღები, თავისი მწერებისგან დამცავი ბადეებით (5 ცალი);9. სანტექნიკა: დამონტაჟებული, უნიტაზი 2 ცალი (ე.წ თურქული, კედელზე საქაღალდეებით),ხელსაბანი (ხელის შესამშრალებელი ქაღალდის დისპენსერებით) – 2 ცალი, სარკე - 2 ცალი 70X50 სმ,დუშ კაბინის სადგარი – 3 ცალი. წყლის ავზი 3 ტონიანი (კონტეინერის თავზე დამონტაჟებული დადაერთებული სისტემასთან) – 1 ცალი. გასახდელი სკამი „სკამეიკა“ 2 ცალი, საკიდები ორ კაუჭიანი -3 ცალი;10. ელექტროობა: ავტომატების ყუთი N6, ავტ. დამცველი 40 ამპ – 1ც, 10 ამპ – 1ც, 6 ამპ – 2 ც , სანათი – 8ც, როზეტი (ხუფიანი, წყლისგან იზოლირებული) – 3 ც, ჩამრთველი – 7 ც, ელექტრო წყლისგამაცხელებელი 100 ლიტრიანი – 2 ც, ელ. გამწოვი - 4ც 100 მმ 2/2.5მმ2 ორმაგი იზოლაციით, ჩადებული პლასტმასის საკაბელო არხში, გარეთა მონტაჟით;	1	11210	11210	ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე - საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონი;

საოფისე კონტეინერი	ზომით 6.0მ X 2.5მ X 2.4 მ კონსტრუქცია: კვადრატული მილი 80/80/2.5, 80/60/2.5, 60/40/2.0, კონტეინერი იქნება შუაზე გადატიხრული (ტიხრის ზუსტი მდებარეობა დაზუსტდება შემსყიდველთან) და ტიხარზე იქნება დამონტაჟებული მეტალო პლასტმასის კარი; 2. იატაკი: 18 მმ, ნესტ გამძლე ფანერა + ლინოლეუმი + პლინტუსი. 3. კედელი: სენდვიჩ პანელი - პოლიურეთანის ქაფით, 50მმ - ფერი თეთრი. 4. სახურავი: სენდვიჩ პანელი პოლიურეთანის ქაფით, 50მმ ცალმხრივად დახრილი, ფერი – თეთრი. 5. შიგა კედელი: სენდვიჩ პანელი - ფერი თეთრი. 6. გარეთა კარი: მეტალის გარე გაღებით, ზომით 210 სმ/90 სმ – 1 ცალი. 7. ფანჯარა: მეტალო პლასტმასის ზომით 130 სმ/90 სმ – 2 ცალი, გასაღები + გადმოკიდება. ორივე ფანჯარას გაუკეთდება ფარდა - ჟალუზი და თავისი მწერებისგან დამცავი ბადეები. 8. ელექტროობა: ავტომატების ყუთი N4 , ავტ. დამცველი 40 ამპ – 2ც, 10 ამპ – 1 ც, 6ამპ – 1 ც, სანათი – 2 ც, კონდიციონერი (30 მ 2 ის გაგრილებით და გათბობით); როზეტი (შტეფსელი) – 5ც, ჩამრთველი – 2 ც, კაბელი 2/2.5 მმ2 ორმაგი იზოლაციით, ჩადებული პლასტმასის საკაბელო არხში, გარეთა მონტაჟით	1	11210	11210	გლდანში - სამშენებლ ო ნარჩენების ნაგავსაყრე ლი პოლიგონი
საერთო ღირებულება: 38940 (ოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცი) ლარი.					

„შემსყიდველი“
შპს „თბილსერვის ჯგუფი“
დირექტორი

ლ. ჯღარკავა

„მიმწოდებელი“
შპს „დგარი”
დირექტორი

ნ. რეხვიაშვილი